პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 239 (4233)

1970 წ. 8 დეკემბერი. სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პასუხიც ასეთი უნდა!

სულ ახლახან საბჭოთა სპორტსმენების ჯგუფი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. საპატიო ნიშნის ორდენი მიიღო ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ვ. ალექსეევმა. საკავშირო რადიოს კორესპონდენტისთვის სახელდახელოდ მიცემულ ინტერვიუში ალექსეევმა განაცხადა, რომ თავს მოვალედ თვლის ამ საპატიო ჯილდოს უკვე წლეულს მსოფლიო რეკორდის დამყარებით უპასუხოს და ამას შეეცდება საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში, რომლის გამართვაც წლის დამლევს დნეპროპეტროვსკშია ნავარაუდევი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ათლეტს სულმა წასძლია: თავის მშობლიურ ქალაქ შახტში საბჭოთა კონსტიტუციის დღესასწაულის წინა დღით მოწყობილ შეჯიბრებაში ალექსეევმა თანაქალაქელები მსოფლიოს ხუთი რეკორდის დამყარებით გაახარა: აჭიმა 221 კგ, აიტაცა 177 კგ და აკვრაში მეოთხე, დამატებით ცდაზე 228,5 კგ აჩვენა. პირველ ცდაზე აკვრაში ალექსეევმა 217,5 კგ დაძლია, რამაც სამჭიდში 615 კგ შეადგინა. შემდეგ ცდაზე მან 222,5 კგ აჩვენა.

ამრიგად, ალექსეევმა სამჭიდში 620 კგ (220+177,5+222,5) დააგროვა, ეს კი 7,5 კგ-ით მეტია მისსავე მსოფლიო რეკორდზე (ატაცში შედეგი სწორედ ასეთია, ვინაიდან შტანგა აღნიშნული წონისა იყო. მართალია, აწონის შემდეგ იგი ნახევარი კილოგრამით ნაკლები აღმოჩნდა, მაგრამ, წესის თანახმად, სამჭიდის ჯამში 177,5 კგ შევიდა).

ადგილობრივ დრამატულ თეატრში შეკრებილი ათასამდე მაყურებელი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა გოლიათს, რომელმაც წლეულს უკვე 21-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები.




სსრ კავშირის პირველობა

## ჩემპიონის გამოვლენას დასჭირდა 9 თვე + 2 მატჩი

### შეხვედრა პირველი

ტაშკენტი. „ფახთაქორ ი ს" სტადიონი. 5 დეკემბერი.

„დინამო" (მოსკოვი) — ცსკა 0:0.

„ДИНАМО": პილგუი, შტაპოვი, სმირნოვი, ანიჩკინი, ზიკოვი, ჟუკოვი, მასლოვი, სიომინი, ეშტრეკოვი (კოზლოვი), ავრუცკი, ევრიუჟიხინი.

ЦСКА: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, აფონინი, უტკინი (კუზნეცოვი), ფედოტოვი, დოლგოვი, პოლიკარპოვი, კოპეიკინი, დუდარენკო.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ეს მეორედ შეიქნა საჭირო დამატებითი მატჩის ჩატარება სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად. პირველად ეს მოხდა 1964 წელს თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის, მეორედ — ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს" შორის. ამ გადამწყვეტი შეხვედრის ადგილად ტრადიციულად უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი იქცა.

საზეიმო განწყობით შეხვდა ტაშკენტი ჩემპიონობის პრეტენდენტებს — მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს. „თეთრი ოქროს" — ბამბის მეჭირნახულეთა დღესასწაული იყო, საუკეთესო ამინდი იდგა, ფეხბურთელებს გულითადი მიღება ჰქონდათ. „ფახთაქორის" სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

ტ. ბახრამოვის სასტვენის ხმაზე დაიწყო თამაში. მას პირველივე წუთებიდან უშეღავათო, უკიდურესად დაძაბული ხასიათი მიეცა. ორივე მხარეს დასაწყისშივე შეექმნა სახიფათო მომენტები, შემდეგ ბრძოლამ მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა. ტაიმის დასასრულს ორივე კართან აშკარა საგოლე სიტუაცია შეიქმნა. ჯერ ავრუცკის მიერ თავით დარტყმულ ბურთს პშენიჩნიკოვმა ძლივს მიუსწრო და იგი ძელს მოხვდა, მერე კი პილგუიმ იხსნა დინამოელები პოლიკარპოვის დარტყმის შემდეგ.

90 წუთი ისე გავიდა, რომ ანგარიში არ გახსნილა. საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა, მაგრამ მეტოქენი ისევ „მშვიდობიანად" დაზავდნენ, თუმცა ბოლო წუთებზე, ევრიუჟიხინის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, არმიელები ბედად გადაურჩნენ გოლს. კარი პშენიჩნიკოვმა იხსნა — 0:0.



### შეხვედრა მეორე

ტაშკენტი. „ფახთაქორ ი ს" სტადიონი. 6 დეკემბერი.

ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 4:3 (1:3).

ЦСКА: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, აფონინი, უტკინი (კუზნეცოვი), ფედოტოვი, დოლგოვი (სტაროკოვი), პოლიკარპოვი, კოპეიკინი, დუდარენკო.

„ДИНАМО": პილგუი, ანტონევიჩი, სმირნოვი, ანიჩკინი, ზიკოვი, ჟუკოვი, მასლოვი, უტკინი, ეშტრეკოვი, ავრუცკი, ევრიუჟიხინი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

განმეორებითი მატჩის პირველი ნახევარი მოსკოვის „დინამომ" ბრწყინვალედ, თუ შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ ჩაატარა. საქმე მარტო ის კი არაა, რომ დინამოელებმა სამჯერ აიღეს არმიელთა კარი, თვითონ კი მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს. დინამოელთა თავდასხმა, სადაც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ეშტრეკოვი, ევრიუჟიხინი და ავრუცკი, თავისუფლად დანავარდობდა არმიელთა საჯარიმო მოედანზე და ხშირად საგოლე მომენტებს ქმნიდა. ცსკა-ს დაცვა, რომელიც მთლიანად სსრ კავშირის ნაკრების მცველთაგანაა დაკომპლექტებული, ყოველმხრივ დემორალიზებული იყო და ერთობ უნიათოდ გამოიყურებოდა.

მართალია, ანგარიში არმიელებმა გახსნეს (დუდარენკო, მე-11 წუთი), მაგრამ ეს იყო მათი პირველი და ერთადერთი წარმატება 45 წუთის მანძილზე. 3 გოლი, „დინამომ" ამის შემდეგ რომ გაიტანა, მისი უდავო უპირატესობის აშკარა დასაბუთებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჟუკოვის საპასუხო გოლი შეხვედრის 22-ე წუთზე, რომელიც გატანილ იქნა დაახლოებით 28 მეტრიდან. 2 წუთის შემდეგ დინამოელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს არმიელთა საჯარიმო მოედანზე და უტკინის ზუსტი გადაცემა ევრიუჟიხინმა მეორე გოლად აქცია. 4 წუთის შემდეგ თავი უკვე ეშტრეკოვმა გამოიჩინა. მან ლამაზად აუარა გვერდი არმიელთა მცველს, კარგად ჩააწოდა კარის გასწვრივ და მასლოვმა მესამედ შეარხია მეტოქის ბადე (სხვათა შორის, ეს იყო მასლოვის 50-ე გოლი საკავშირო ჩემპიონატებში). ერთი სიტყვით, სსრ კავშირის ნაკრების საბაზო გუნდმა და მისმა ნაქებმა დაცვამ პირველ ტაიმში არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს.

რა მოხდა შემდეგ, ძნელი გასაგებია ახლაც, როცა მატჩის დამთავრებიდან მთელი დღენახევარი გავიდა. ძნელი გასაგებია იმიტომ, რომ დინამოელთა გამოცდილმა და ბრძოლაში ნაწრთობმა კოლექტივმა ასე უპასუხისმგებლოდ და გაუმართლებლად დათმო ფაქტიურად განაღდებული მოგება, დუბლის შესაძლებლობა და სანუკვარი ოქროს მედლები, რასაც გუნდისთვის დამატებითი პრივილეგიები უნდა მოეტანა საერთაშორისო ტურნირებში.

(დასასრული მე-4 გვ.)

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის 1970 წლის ჩემპიონი ფეხბურთში, მოსკოვის ცსკა. სხედან (მარცხნიდან): ვ. დუდარენკო, ა. შესტერნიოვი, ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი, ვ. ფედოტოვი, ვ. უტკინი. დგანან — მწვრთნელი ვ. ნიკოლაევი, ი. პშენიჩნიკოვი, ნ. დოლგოვი, ბ. კოპეიკინი, ვ. პოლიკარპოვი, ა. კუზნეცოვი, ვ. ასტაპოვსკი, მ. პლახეტკო, ვ. აფონინი.

ა. იაკოვლევის ფოტო.
საქდესის ფოტოქრონიკა.

[illegible]

● ადლერი, 6 დეკემბერი. აქ დამთავრდა საკავშირო ველოკროსი, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები გამოდიოდნენ. 27-კილომეტრიანი რთულ ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა რსფსრ-ს კოლექტივმა. II ადგილი დაიკავეს ლიტვის, III — უკრაინის წარმომადგენლებმა. პირად პირველობაში ყველას აჯობა გამარჯვებული გუნდის წევრმა ვ. გუბენკოვმა.

● დასავლეთი ბერლინი, 6 დეკემბერი. მაღალი შედეგებია ნაჩვენები ამ ქალაქის დახურულ დარბაზში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. ჩ. გრინმა (აშშ) 60 მეტრი 6,5 წამში გაირბინა. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა. დასავლეთგერმანელმა ხ. როზენდალმა 60 მეტრზე თარჯრბენში 8 წამი აჩვენა. ესეც ახალი მსოფლიო მიღწევაა. ამავე დისტანციაზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ამერიკელმა მძლეოსანმა ტ. ჰილმა — 7,5.

● ნოვოსიბირსკი, 6 დეკემბერი. უძლიერეს ბიატლონისტთა აქ გამართული შეჯიბრება უდმურტეთის ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

● ტალინი, 6 დეკემბერი. მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა 14 ტური. ლიდერობს განტვარგი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს. მას 0,5 ქულით ჩამორჩებიან ანდრეიკო, მ. კორხოვი და შჩოგოლევი.

● პოტსდამი, 6 დეკემბერი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები: სამივე საპრიზო ადგილი მათი კუთვნილება გახდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სვერდლოვსკელი სტუდენტი ა. ნაზმუტდინოვა, რომელიც საუკეთესო იყო სამივე ნებისმიერ ვარჯიშში. საბოლოოდ მან 29,25 ქულა დააგროვა. II ადგილზეა ომსკელი გ. შუგუროვა — 28,80, III — ასტრახანელი ა. ზასუხინა (28,70). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

● ნაგოია, 6 დეკემბერი. იაპონური გაზეთის „ტიუნიტის" თასზე გამართულ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის ახალგაზრდა წევრები — ლ. ბურდა, თ. ლაზაკოვიჩი და ო. კორბუტი. გაიმარჯვა ბურდამ, რომელმაც 38,10 ქულა დააგროვა. ლაზაკოვიჩმა და კორბუტმა II-III ადგილები დაიკავეს — 37,60-37,60 ქულა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, იაპონელმა ა. ნაკაიამამ — 57,85 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს მოსკოველმა ვ. კლიმენკომ და იაპონელმა ს. კასამაცუმ — 56,96-56,96.

● ლენინგრადი, 6 დეკემბერი. ფინეთისა და ლენინგრადელ ძალოსანთა დღეს დამთავრებულ ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 7:2. აღსანიშნავია ზემძიმე წონის ლენინგრადელი ძალოსნის ბ. პერვუშინის შედეგი — 532,5 კგ.

[illegible]

[illegible] იყო... 1945

◆ ფუკუოკა, 7 დეკემბერი. იაპონიის ამ ქალაქში გაიმართა მარათონელთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ასახის" პრიზზე. 42 კმ და 195 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა მასპინძელმა ა. უსამიმ — 2:10. 37,8. II ადგილი დაიკავა ამერიკელმა კ. მურმა—2:11.35,8, III — ი. უნეტანიმ (იაპონია) — 2:12. 12,0. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო კრივოიროგელი ი. ვოლკოვი, რომელმაც VIII ადგილი დაიკავა — 2.14.28,0.

◆ რიგა, 7 დეკემბერი. სამამულო ტანვარჯიშის ისტორიაში პირველად აქ გაიმართა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი. მრავალჭიდში პირველი ადგილები დაიკავეს ა. კოშელმა (სმოლენსკის „შრომითი რეზერვები") და ვ. სერგეევმა (მოსკოვის „ლოკომოტივი"). პირველის შედეგია 37,35 ქულა, ხოლო მეორესი — 54,375 ქულა.

◆ კოლომნა, 7 დეკემბერი. აქ პირველი სტარტი ჰქონდათ ყინულზე მოციგურავე ქალებსა და ვაჟებს. 500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობეს ვ. მურატოვმა და ვ. კომაროვმა, რომელთაც ერთნაირი შედეგი — 41,07 — ჰქონდათ. 1500 მეტრზე იმარჯვა ა. ჩეკულაევმა 2.11.99. ა. ბუიანოვამ 500 მეტრის გავლას 46,2 წამი მოანდომა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ტიტოვამ და ევროპის ჩემპიონმა ნ. სტატკევიჩმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს 1000 მეტრზე რბენაში — 1.34,7.

# ზამთარი კარს გვადგას

**საქართველოს მოთხილამურეების ახალი სეზონის სპორტღონისძიებათა კალენდარი მდიდარია. ბაკურიანში ბევრი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება, საქართველოს სპორტსმენები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იასპარეზებენ.**

**ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს ზამთრის სახეობების სპორტსმენთა მთავარ მწვრთნელს შ. ნავერიანს და სთხოვა ეამბნა რესპუბლიკის მოთხილამურეთა სამზადისზე, ბაზების მზადყოფნაზე, მომავალ ღონისძიებებზე, საქართველოში სათხილამურო სპორტის პრობლემებზე. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.**

● **რა შეჯიბრებებს უმასპინძლებს ამ სეზონში ბაკურიანი?**

— ტრადიციულად სეზონს „ლელოს“ პრიზის გათამაშებით გავხსნით. ეს ასპარეზობა დეკემბრის დამლევს გაიმართება. ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩატარდება რესპუბლიკის მოსწავლეთა პირადი შეჯიბრება სამთო სახეობებსა და ხტომებში. 9-10 იანვარს უძლიერესი სპორტსმენები 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის თასისთვის იბრძოლებენ, ერთი კვირის შემდეგ კი მოეწყობა „მფრინავ მოთხილამურეთა“ I საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. სსრ კავშირის სპორტსმენთა გარდა, სარბიელზე გამოვლენ 11 სხვა სახელმწიფოს მოთხილამურეები.

● **კონკრეტულად რომელი ქვეყნების სპორტსმენები გყავთ მოწვეული?**

— მოვიწვიეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეციის, ფინეთის, იტალიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და ყველა იმ ქვეყნის სპორტსმენები, სადაც ეს სახეობა სათანადოდაა განვითარებული.

● **კიდევ რა შეჯიბრებებს ვნახავთ ბაკურიანში?**

— 11-16 იანვარს საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის III სპარტაკიადა გაიმართება. იანვრის მესამე დეკადაში კოხტაგორა სამთომოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებებს უმასპინძლებს. იანვრის დამლევს ბრძოლაში მორბენლები ჩაებმებიან, 31 იანვარს მოეწყობა საკავშირო ტურნირი ბაკურიანის პრიზზე, 3-6 თებერვალს კი რბენაში გათამაშდება სსრ კავშირის თასი. 8-13 თებერვალს ბაკურიანის ბაზები დაეთმობა რესპუბლიკის პირად-გუნდურ ტერიტორიულ ჩემპიონატს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, საქართველოს კომპარტიის 50 და საქართველოში სათხილამურო სპორტის დანერგვის 40 წლისთავს ეძღვნება. მარტის არდადეგებზე მოსწავლეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდება, აპრილის დასაწყისში — საქართველო-ბულგარეთის სამთო-მოთხილამურეთა მორიგი მატჩი...

● **სხვა რომელ ტურნირში გამოვლენ საქართველოს სპორტსმენები?**

— ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამართულ ყველა დიდ ტურნირში: ტერსკოლში — სამთო მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში, ალმა-ათაში, ნიჟნი ტაგილში, გორკში, გამოვლენ პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში, ლაგოისკში (ბელორუსია) — მორბენალთა ზონალურ შეჯიბრებაში...

● **როგორც ჩანს, ბაკურიანს მოსაწყენად არ ეცლება. როგორ ხვდება სპორტული ბაზები სეზონს?**

— მორბენალთა საკავშირო ტურნირებისთვის ძირითადად ყველაფერი მზადაა. კარგა ხანია შერჩეულია ტრასები, სტარტების წინ მხოლოდ მეორეხარისხოვანი საქმე იქნება შესასრულებელი. შარშან გადაწყდა სპორტსმენთა ბინების საკითხიც. 90-მეტრიან ტრამპლინზე და სამთო ტრასებზე კი სხვა მდგომარეობაა. ტრამპლინი, მართალია, შარშან გავხსენით, მაგრამ მაშინ პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დამთავრებული როდი იყო (მაგალითად, პროფილი თოვლით გამოვიყვანეთ, რამაც ზოგ ადგილას 3 მეტრამდე სიმაღლის თოვლის დაყრა მოითხოვა), ფერდობები ჩამოსაწმენდი იყო და წლეულს, როგორც კი დათბა, მეწყერი წამოვიდა. აღდგენითი და დარჩენილი სამუშაოები გვიან დაიწყო. მართალია, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო პირობას იძლევა, ტრამპლინი შეჯიბრებისთვის მზად იქნებაო, მაგრამ მათი ამგვარი დაპირებები ბევრჯერ მოგვისმენია. საქმეს ერთგვარად გააიოლებს საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ინიციატივით შეძენილი მანქანა, რომელიც ტრამპლინს სტარტებისთვის მოამზადებს. 70 და 50-მეტრიანი ტრამპლინების მშენებლობა არც დაწყებულა (პროექტით ეს ტრამპლინები იქვე უნდა გაიგოს).

● **შევიტყვეთ სამთო ტრასის „კოხტა II — მიტარბის“ მშენებლობა მკვდარი წერტილიდან დაიძრა.**

—სწორია. აქ 3000-მეტრიანი ტრასა ეწყობა, ტყე გაიკაფა, მიწის სამუშაოები მიმდინარეობს.

● **როდის გადაეცემა ბაზა საექსპლოატაციოდ?**

— ვგემით, 1971 წლისთვის, თუმცა მუშაობის ტემპი გვაეჭვებს. საყრდენები კუიბიშევში უნდა დაემზადებინათ, მაგრამ ჯერჯერობით პროფილის მომზადებაც გაჭიანურდა. იძულებული ვართ დროებით კოხტაგორაზე არსებული ძველი ტრასა ვიმყოფინოთ. კიდევ ერთი სიახლე: ბაკურიანში შემოტანილია თოვლის სატკეპნი მანქანა „რეტრაკი“, რაც ხარბენი თუ სამთო ტრასების მომწყობთ საქმეს საგრძნობლად გაუადვილებს.

● **რას გვეტყვით სეზონისთვის საქართველოს ნაკრების წევრების სამზადისზე?**

— სამთომოთხილამურეთა სამზადისზე ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. ოგანეზოვი უკეთ გესაუბრებათ.

— სამთომოთხილამურენი დიდი ხანია შეუდგნენ წვრთნას. შარშან ბაკურიანში განცდილი მარცხის შემდეგ სპორტის ოსტატი გ. აბრამიშვილი გამოჯანსაღდა და გუნდს დაუბრუნდა, სპორტის ოსტატმა ბ. კახიანმა კიროვსკში შარშან ფეხი იტკინა და ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს. სპორტის ოსტატები ი. ნასყიდაშვილი, გ. ჯიქოევი, შალვა კოხანაშვილი, ნ. ფალიანი, ლ. გოგოლაძე, ოსტატობის კანდიდატები დ. თვაური, რ. აკოფოვი, ა. სტეფანიანი და სხვები სპეციალური გეგმით ვარჯიშობენ.

● **რეზერვზე რას გვეტყვით?**

— თინათინ კოჭანაშვილი, ს. ბანდური, გ. ღარიბაშვილი, ს. ნავერიანი, კ. ურუშაძე, გ. ლომინაძე, გ. ოგანეზოვი, გ. ფანჯაკიძე... აი, ვისი იმედი გვაქვს. სამწუხაროდ, ქალთა გუნდის საქმე უფრო ცუდად გვაქვს. გულახდილად რომ ვთქვათ, არც გვყავს ეს გუნდი, ვინაიდან კოლექტივიდან რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი წავიდა, შევსება კი არ ჩანს, ამაში, რა თქმა უნდა, ჩვენი მწვრთნელებიც არიან დამნაშავე.

კარგ სამთომოთხილამურეებს მხოლოდ ბაკურიანისა და მესტიის ჯგუფების მწვრთნელები პავლე და შოთა კოხანაშვილები, გ. ჯაფარიძე და ბ. ჩართოლანი ამზადებენ. უმაღლესი სპორტული ოსტატობის 1-ლი სკოლის დირექციამ (დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე) ჯგუფების გახსნით კარგი საქმე გააკეთა. ეს ჯგუფები სათანადო ინვენტარითაც უზრუნველყოფილნი არიან და შედეგიც უკვე ჩანს — 3 წელიწადში 9 სპორტის ოსტატი მომზადდა.

● **რას გვეტყვით მხტომელებზე, მორბენლებზე, ორჭიდელებზე?**

— სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე სარბიელს არ ტოვებს, — განაგრძო ნავერიანმა, — მის ოსტატობას წლეულსაც ვიხილავთ. გუნდს დაუბრუნდა სპორტის ოსტატი მ. გავა, რომელსაც შარშან ფეხის ტრავმის გამო არ უასპარეზია. მესტიასა და ბაკურიანში სპორტის ოსტატ ბ. მჭედლიანისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნ. თვაურის ხელმძღვანელობით 3 ჯგუფი მუშაობს. ამ ჯგუფების რამდენიმე აღსაზრდელი წლევანდელ საკავშირო ტურნირებშიც გამოცდის ძალებს. მესტიიდან მეტ ნიჭიერ „მფრინავ მოთხილამურეს“ მივიღებდით, რაიონის ხელმძღვანელობას პირობა რომ შეესრულებინა და მოეწყო ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი, რომელიც ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მესტიას ოთხი წლის წინ გადასცა.

უნდა ვუსაყვედუროთ ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებსაც. მართალია, ბაკურიანში მათ 3 სასწავლო საბაგირო გზა მოაწყვეს, მაგრამ მეოთხე 600 მეტრიანი საბაგირო გზის მოწყობას საშველი არ დაადგა. ეს გზა „კოხტა I-ს“ „კოხტა — II-სთან“ შეაერთებდა, რაც სწრაფდაშვებისა და გიგანტური სლალომის ახალი ტრასის ათვისებაში დაგვეხმარებოდა.

● **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომაზე, რომელიც აგვისტოში გაიმართა, ითქვა, რომ ცეკავშირი ინვენტარითა და ფორმით სათანადოდ ვერ ამარაგებს რაიონებს. სათხილამურო ინვენტარით მომარაგების საქმე როგორაა?**

— ცეკავშირის გამგეობამ ამ მხრივ მუშაობა ერთგვარად გააუმჯობესა, მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით ვერ შეაქვთ პირველხარისხოვანი თხილამურები, ჯოხები, ფეხსაცმელი, სხვა აღჭურვილობა. უმეტესად არც ასორტიმენტი კმარა. განსაკუთრებით იგრძნობა საბავშვო ინვენტარის სიმცირე, ნაკრების წევრები კი ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან ინვენტარით. ზამთრის ინვენტარით რესპუბლიკის მომარაგებაზე სხვა ორგანიზაციებმაც უნდა იზრუნონ.

ბოლო წლებში აჭარაში, ახალციხის, ახალქალაქისა და ყაზბეგის რაიონებში სათხილამურო სპორტი ჩამორჩა, აფხაზეთში ამ მხრივ კარგა ხანია არაფერი კეთდება, დუშეთის, ბოგდანოვკის, თიანეთის რაიონებში და სამხრეთ ოსეთში კი შესანიშნავ ბუნებრივ პირობებს სათანადოდ ვერ იყენებენ. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ ზემოთ დასახელებული რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები, განათლების განყოფილებები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები ჩამორჩენის მიზეზად სწორედ ინვენტარის უქონლობას ასახელებენ.

● **როგორაა რესპუბლიკის თოვლიანი რაიონების სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის საქმე?**

— არც ისე კარგად. რა თქმა უნდა, ეს დიდი ნაკლია. ვფიქრობთ, სპორტსმენთა აღზრდაში არსებულ ხარვეზებს ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს „დინამოს“ სპეციალიზებული სკოლა, რომელიც ბაკურიანში გაიხსნება.

● **ზამთრის სახეობებში ყველაზე „ახალგაზრდა“ საციგაო სპორტია. რას გვეტყვით ჩვენში ამ სახეობის მომავალზე?**

—საციგაო სპორტი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეაქვთ. ამ სახეობის წარმომადგენლები სსრ კავშირის ზამთრის სპარტაკიადაშიც იასპარეზებენ. საქართველოს სპორტსმენებმა საციგაო სპორტში ძალა პირველად ამ სამიოდე წლის წინ სცადეს. შარშან ბაკურიანში საჩვენებელი შეხვედრა გავმართეთ, წლეულს კი უმაღლესი ოსტატობის № 1 სპორტულმა სკოლამ ჯგუფი გახსნა, რომელსაც ა. ქუმარიტაშვილი ჩაუდგა სათავეში. ეს ჯგუფი ზაფხულში ქუმარიტაშვილის მიერ დამზადებული გორგოლაჭებიანი ციგებით კუს ტბის მიდამოებში ვარჯიშობდა (საათში 70 კმ სისწრაფეს ავითარებდნენ). ერთ და ორადგილიან 6 სპეციალურ ციგას ალბათ იანვარში მივიღებთ. ბაკურიანში ტრასის მოწყობაა გათვალისწინებული, მაგრამ პროექტის შედგენა დაგვიანდა, ამ სახეობას საქართველოში კარგი პერსპექტივა აქვს.

# პიონერთა პარკში

აჭარის პროფკავშირულ-კომკავშირულ საშემოდგომო კროსში „განთიადის“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და ბათუმის მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობდნენ. ბათუმის პიონერთა პარკში 500 მეტრზე რბენაში გამართული შეჯიბრება მოიგო ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ფედესენკოვამ. 1000 მეტრზე ასპარეზობაში მისმა თანაგუნდელმა ლ. ხელაძემ იმარჯვა.

ვაჟებში ამავე დისტანციაზე საუკეთესო იყო ქობულეთის რაიონის აჭყვის ჩაის ფაბრიკის მუშა მ. შარმაი („განთიადი“). 3 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა ზ. გოგიტიძემ („ბურევესტნიკი“), 5000 მეტრზე — მისმა თანაგუნდელმა თ. გვარიშვილმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „სპარტაკი“. გამარჯვებულ კოლექტივს აჭარის პროფსაბჭოს გარდამავალი პრიზი გადაეცა.

ვ. ლიბერმანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
მ. ომარიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# თასი პოლიტექნიკოსებმა დაისაკუთრეს

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ სოხუმში, ეშერის მიდამოებში, გამართა რესპუბლიკის ტექნიკუმების სტუდენტთა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის (5), ქუთაისის (3), სოხუმის, რუსთავის, ფოთის, ბორჯომის, კასპის, ჩხოროწყუს, მახარაძისა და ქარელის გუნდები. პროგრამაში იყო გოგონებისთვის 500 და 1000, ვაჟებისთვის კი 1000 და 3000 მეტრზე რბენა. გუნდურ ჩათვლაში თითოეულ დისტანციაზე ორ-ორი შედეგი შედიოდა.

ბრძოლაში პირველად 500 მეტრზე მორბენლები ჩაებნენ. ყველას რუსთაველმა ს. სუმენკომ აჯობა. თბილისის პოლიტექნიკუმის მოსწავლეებმა ნ. ანდრიენკომ და ლ. სკოვარევამ II და III ადგილები დაიკავეს. 1000 მეტრზე რბენაში ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის მოსწავლემ ნ. მესხმა იმარჯვა. მან ლ. სემირენკინას (თბილისის პოლიტექნიკუმი) ოდნავ გაუსწრო. III ადგილზეა მახარაძელი ნ. ნაკაიძე.

1000-მეტრიან დისტანციაზე ვაჟთა შორის პირველი იყო ჯ. ხოკრიშვილი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), სამაგიეროდ II და III ადგილები ქუთაისელებმა — ჯ. კახელიშვილმა და თ. სამხარაძემ დაისაკუთრეს.

3000 მეტრზე რბენაში ი. პაპიაშვილმა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) ყველა მეტოქე საგრძნობლად ჩამოიტოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და სამინისტროს გარდამავალი თასი თბილისის პოლიტექნიკუმმა დაისაკუთრა. II ადგილზე არიან თბილისის მანქანათმშენებლობის, III — ქუთაისის სატყეო ტექნიკუმების წარმომადგენლები.

**სურათზე:** 1000 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრების მომენტი.
ჯ. სემიონოვის ტექსტი და ფოტო.



ანგარიშგება-არჩევნები

# წარმატება თვალსაჩინოა

ბათუმის მეზღვაურთა კლუბში გაიმართა „ვოდნიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ვ. იორაშვილი, რომელმაც ილაპარაკა საზოგადოების 36 ფიზკულტურული კოლექტივის მიერ გაწეულ მუშაობაზე. ითქვა, რომ საგრძნობლად იმატა საზოგადოების წევრთა, სექციებში მომეცადინეთა რიცხვმა. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ნიჩბოსნობის, წყალბურთის, კლასიკური ჭიდაობის, კრივის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სექციები. ფოთში აშენდა ნიჩბოსნობის ბაზა, ბათუმში იგება საიალქნო-სანიჩბოსნო კლუბი.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ი. ტუღუშმა, მ. გოდინმა, პ. კოვირინმა, გ. უმანკოშვილმა და სხვებმა ნაკლოვანებებზეც ილაპარაკეს. განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საწარმოო ტანვარჯიშმა მეზღვაურთა შორის ფეხი ვერ მოიკიდა.

კონფერენციამ „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ ისევ ვ. იორაშვილი აირჩია.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ბაზები გაპარტახდა

ცხაკაიაში მაღალ დონეზე ჩატარდა „განთიადის“ რაისაბჭოს კონფერენცია, რომელმაც 17 თვის მუშაობის შედეგები შეაჯამა. მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ადამია.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა კარგად არის დაყენებული. ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები, სამატჩო შეხვედრები. მოწინავეა ხალიჩების საქსოვი კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა დაისაკუთრა.

კონფერენციაზე ხარვეზებიც ამხილეს. ითქვა, რომ საშენ მასალათა კომბინატის, უშაფათის ჩაის ფაბრიკისა და საქელექტრომშენის ფიზკულტურულ კოლექტივებში არავითარი სპორტული მუშაობა არ ტარდება. ეს საწარმოების ხელმძღვანელთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ფიზკულტურელებისადმი უყურადღებობის ბრალია. საშენ მასალათა კომბინატში ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები უპატრონობის გამო გაპარტახდა.

კონფერენციამ დასახა სათანადო ღონისძიება. „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ ისევ მ. ადამია აირჩიეს.

ბ. ბუზუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# დღეს სტარტია

დღეს დნეპროპეტროვსკსა და კაუნასში სტარტს აიღებს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი.

ტურნირი ჩატარდება 2 წრედ და დამთავრდება ლენინგრადში მარტის ბოლო რიცხვებში. ყოველმა გუნდმა ჩემპიონატის მანძილზე 22 მატჩი უნდა გამართოს, რაც სპეციალისტთა ერთ ნაწილს არასაკმარისად მიაჩნია. მაგრამ მაშინ რა უნდა ვთქვათ II ლიგის გუნდებზე, რომლებსაც მთელი წლის მანძილზე უკეთეს შემთხვევაში, 14-ჯერ მოუწევთ თამაში, ზოგიერთ გუნდს კი მხოლოდ 8 მატჩის ჩატარება.

დნეპროპეტროვსკის ჯგუფში კენჭისყრამ შემდეგი კოლექტივები გააერთიანა: ტტტ (რიგა), „კიბირკშტისი" (ვილნიუსი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „სტალი" (დნეპროპეტროვსკი), რომელმაც უძლიერესთა თორმეტეულში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის ადგილი დაიკავა.

ზუსტად ამავე დროს კაუნასში იასპარეზებენ: „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი), „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი), „პოლიტექნიკა" (კაუნასი) და 20-წლიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „სპარტაკი" (მოსკოვი).

ცხადია, ჩემპიონატის წინ ყველას აინტერესებს საკითხი, დაემხობა თუ არა ბოლოს და ბოლოს ტტტ-ს ჰეგემონია, თუ ეს ნიჭიერი კოლექტივი კიდევ ერთი წლით შეინარჩუნებს თავის მაღალ წოდებას. ობიექტური მონაცემებით ლატვიის გუნდი კვლავ უძლიერესად რჩება, მაგრამ გასული ჩემპიონატის გამოცდილება გვიკარნახებს, რომ განსხვავება ლიდერსა და მის უახლოეს კონკურენტებს შორის მინიმუმამდე დავიდა. ვისი დასახელება შეიძლება მოსალოდნელ პრეტენდენტთა შორის? მოსკოვისა და კიევის „დინამოსი" და აუცილებლად „კიბირკშტისისა", მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება: ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რაც ოჯახური მდგომარეობით იყო გამოწვეული, ტტტ-ს დაუბრუნდა ს. სმილძინია-ბუდოვსკა და კიდევ რამდენიმე მისი ამხანაგი (ისინი ამ პერიოდში დედები გახდნენ).

საკავშირო ჩემპიონატის მედლებს მოუთმენლად დაელოდება ალბათ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ლ. ალექსეევაც. ეს გასაგებია, ვინაიდან ნაკრებს მომავალ სეზონში ბევრი პასუხსაგები გამოცდა ექნება. მათ შორის უმთავრესია მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც სექტემბერ-ოქტომბერში ბრაზილიის ქალაქი სან-პაულუ უმასპინძლებს. შეგახსენებთ ერთ მნიშვნელოვან დეტალს: ჩვენს ნაკრებს 1958 წლიდან მოყოლებული არ წაუგია არც ერთი ოფიციალური მატჩი. ამ განუმეორებელი რეკორდის შენარჩუნებას კალათბურთელები უთუოდ შეეცდებიან.

# თანაბარი წვლილი

**თბილისი. სპორტის სასახლე. 6 დეკემბერი. „დინამო" (თბილისი) — ასკ (კიევი) 82:71 (36:33). მსაჯები: ვ. კასატიკოვი, მ. გრიგორიევი (ორივე — მოსკოვი). დუბლიორები — 79:56 (39:23).**

შეხვედრის მე-12 წუთზე არმიელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ოკიპნიაკს უკვე 4 ჯარიმა ჰქონდა მიღებული. მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე დასვა და უფრო საჭირო მომენტისთვის შემოინახა. მისი ადგილი კი მოედანზე სუშაკმა დაიკავა. ეს იყო თბილისელთა სწორი ჩანაფიქრის შედეგი. შეტევებმა, რომელსაც „დინამო" უმთავრესად ცენტრალური ზონიდან წარმართავდა, არმიელთა დაცვის ძირითად რგოლს საფუძვლიანად შეურყია ნიადაგი და მისი ბურჯი, ოკიპნიაკის სახით, დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან.

27-ე წუთზე ცენტრალური თავდამსხმელის ბედი არმიელთა გუნდის მეორე ლიდერმა ჩეჩურამ გაიზიარა. ცოტა მოგვიანებით კი მოედანი დატოვა მთავარმა გამთამაშებელმა ნიკოლაევმა. მატჩის შედეგი ეჭვს აღარ იწვევდა და სტუმრებმაც „უსიტყვოდ" მოაწერეს ხელი განაჩენს.

მანამდე კი ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო და შეუპოვარი. თბილისელები თამაშობდნენ გაშლილად, ბევრს მოძრაობდნენ და საკმაოდ ზუსტად ირჩევდნენ ადგილს სროლებისთვის. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ გუნდის საერთო წარმატებაში ყველამ თითქმის თანაბარი წვლილი შეიტანა. არმიელებს ჰყავდათ სოლისტი, რომელიც სხვებზე უფრო მეტ უხერხულობას უქმნიდა „დინამოს" დაცვას. ეს გახლდათ ჩეჩურა. მან თავის გუნდს 24 ქულა მოუტანა. თბილისელებს კი ამ დღეს არ ჰყავდათ ერთი გამოკვეთილი ლიდერი და ალბათ ამიტომაც, მოსეშვილმა, ქორქიამ და ბოლქვაძემ ერთნაირი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში — 16-16 ქულა.

„დინამომ" სატურნირო ცხრილში რამდენიმე საფეხურით აიწია. იგი უკვე ლიდერთა ხუთეულში შევიდა და დაკარგული ქულებით გაუთანაბრდა კიდეც დაწინაურებულებს — ლენინგრადის „სპარტაკსა" და ცსკა-ს.

**ნ. ბუზუშვილი**

• • •



სურათზე: მოსეშვილი არმიელთა მცველთან ბრძოლის დროს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის
ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 5 | 4 | 1 | 347—298 | 4 |
| ცსკა | 5 | 4 | 1 | 365—336 | 4 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 4 | 3 | 1 | 321—288 | 3 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 3 | 1 | 348—333 | 3 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 5 | 3 | 2 | 340—339 | 3 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 2 | 2 | 330—313 | 2 |
| ვეფ (რიგა) | 5 | 2 | 3 | 381—390 | 2 |
| „კალევი" (ტარტუ) | 4 | 1 | 3 | 272—285 | 1 |
| ასკ (რიგა) | 3 | 1 | 2 | 199—213 | 1 |
| ასკ (კიევი) | 5 | 1 | 4 | 331—364 | 1 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 4 | 1 | 3 | 295—329 | 1 |
| რტი (მინსკი) | 4 | 1 | 3 | 247—278 | 1 |

# მეორე მარცხი სტუმრად

*გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ 3 მატჩი.*

*მოსკოვი. სსრ კავშირის ჩემპიონმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, მაგრამ ვფიქრობთ, გულშემატკივრები გუნდის თამაშით არ უნდა იყვნენ კმაყოფილი. მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა ისეთი შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრივ არმიელებს, რომ მსაჯის საფინალო სასტვენამდე ძნელი გამოსაცნობი იყო ვის დარჩებოდა გამარჯვება. 79:72 — ასეთია ამ მძიმე ბრძოლის შედეგი.*

*ლენინგრადი. მორიგი ქულა ჩაიწერა აქტივში გათამაშების მეორე ლიდერმა — „სპარტაკმა". მაგრამ მისი წარმატება გაცილებით უფრო იოლი იყო და დამაჯერებელი. რიგის ვეფ-ი დამარცხდა — 71:85.*

*კაუნასი. ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სწორედ აქ გაიმართა. ადგილობრივმა „ჟალგირისმა" უმასპინძლა კიევის „სტროიტელს". მაყურებლები გულთბილად მიესალმენ თავიანთი კოლექტივის წარმატებას — 77:64. სხვათა შორის, „სტროიტელი" უკვე მეორე მატჩს აგებს სტუმრად.*

# ერთი საჯარიმო სროლის ფასი

გასულ კვირას გაიმართა დუბლიორთა რამდენიმე მატჩი.

გათამაშებას კვლავ მოსკოვის არმიელები ლიდერობენ, თუმცა მათ ერთი შეხვედრის წაგება მაინც მოახერხეს. ეს მოხდა კიევში, ადგილობრივ „სტროიტელთან" შეხვედრაში. საქმე ისაა, რომ უკრაინელთა ძირითადი გუნდი ყველა მატჩს, ფაქტიურად, ერთი შემადგენლობით ატარებს. ყოველ შემთხვევაში, 7 კალათბურთელზე მეტი „სტროიტელს" ჯერ არ გამოუყვანია. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ დუბლიორთა მატჩებში უკრაინელებს შემადგენლობის მეტი მანევრირების საშუალება აქვთ. არმიელებმა ტაიმი 6 ქულის სხვაობით წააგეს — 35:41. პირველი ნახევრის უპირატესობა ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა. შესვენების შემდეგ ორივე კოლექტივი თავგამოდებით იბრძოდა და მეორე 20-წუთიანმა მონაკვეთმა უძლიერესი ვერც კი გამოავლინა. საბოლოოდ — 84:78 „სტროიტელის" სასარგებლოდ.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თბილისის „დინამოსა" და რიგის ვეფ-ის დუბლიორთა მატჩი. პირველი ნახევარი ლატვიელებმა საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარეს და 7-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს, რაც ბევრს გამარჯვების საიმედო გარანტიად ეჩვენა — 37:30. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ დინამოელები, რომლებსაც შესვენების შემდეგ, ფაქტიურად, ორმაგი სამუშაოს ჩატარება მოუხდათ. როდესაც თამაში გათანაბრდა, „დინამოს" უკვე მძლავრი ინერცია ჰქონდა აღებული, რამაც იგი გამარჯვებამდე მიიყვანა — 68:65.

და მაინც, ბრძოლის სიმძაფრითა და შინაარსით პირველობას ჯერჯერობით თბილისის „ბურევესტნიკისა" და იმავე ვეფ-ის შეხვედრა ინარჩუნებს. მიმომხილველთა საერთო აღიარებით, ეს იყო დიდი კალათბურთის ღირსეული მაგალითი. რიგელი გულშემატკივრები, რომლებსაც ლამაზი კალათბურთით მაინცდამაინც ვერ გააკვირვებ, მოჯადოებული უყურებდნენ მატჩს. პირველი ტაიმი მასპინძლებმა ერთი ზუსტი სროლით მოიგეს (47:45). მეორე ნახევარშიც ასევე ერთი ზუსტი ტყორცნის წყალობით ვერ დამთავრდა მეტოქეთა 40-წუთიანი დუელი. გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ დამატებით 5 წუთში გაირკვა. ეს ზეგემითი პერიოდი მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 4:3. ერთადერთმა ზუსტმა საჯარიმო სროლამ მასპინძლები დააწინაურა — 82:81.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: რტი (მინსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 80:74, „სტროიტელი" (კიევი) — „კალევი" (ტარტუ) 79:67, „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 88:69, ასკ (კიევი) — ცსკა 75:86, ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 80:65, ვეფ (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 73:85, რტი (მინსკი) — „კალევი" (ტარტუ) 73:83, „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (კიევი) 68:70, „დინამო" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 89:80.

## მატჩები დეკემბერში

კალათბურთში სსრ კავშირის პირველობის დეკემბრის კალენდარი: 8. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (კიევი). 9. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი), „კალევი" (ტარტუ) — „დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი), ცსკა — ვეფ (რიგა). 11. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — რტი (მინსკი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (რიგა). 12. „კალევი" (ტარტუ) — ვეფ (რიგა), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი). 14. ასკ (კიევი) — ასკ (რიგა), ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი). 15. რტი (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი). 16. „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (რიგა), „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). 17. „კალევი" (ტარტუ) — „ჟალგირისი" (კაუნასი). 18. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). 19. რტი (მინსკი) — ასკ (რიგა). 20. „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). 21. „კალევი" (ტარტუ) — ცსკა. 22. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი), „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). 23. ვეფ (რიგა) — რტი (მინსკი). 24. ასკ (რიგა) — ცსკა. 25. „ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (კიევი), „დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ). 26. „სტროიტელი" (კიევი) — რტი (მინსკი), ვეფ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი). 27. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ). 29. ასკ (კიევი) — რტი (მინსკი), ასკ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 დეკემბრისთვის
დუბლშემადგენლობანი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 3 | 1 | 358—309 | 3 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 4 | 3 | 1 | 303—286 | 3 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 2 | 2 | 312—305 | 2 |
| „დინამო" (თბილისი) | 3 | 2 | 1 | 218—213 | 2 |
| ასკ (კიევი) | 3 | 2 | 1 | 235—232 | 2 |
| „კალევი" (ტარტუ) | 4 | 2 | 2 | 320—318 | 2 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 3 | 2 | 1 | 228—234 | 2 |
| ვეფ (რიგა) | 4 | 2 | 2 | 296—302 | 2 |
| ასკ (რიგა) | 3 | 1 | 2 | 219—220 | 1 |
| რტი (მინსკი) | 3 | 1 | 2 | 226—231 | 1 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 3 | 1 | 2 | 232—245 | 1 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 4 | 0 | 4 | 288—340 | 0 |

სსრ კავშირის პირველობა

1970 ფეხბურთი

# ჩემპიონის გამოვლენას დასჭირდა 9 თვე + 2 წუთი

დასასრული

ბრძოლის ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე სპეციალისტებს ალბათ თავიანთი მოსაზრებანი ექნებათ, მაგრამ ამ დრამატული მარცხის ერთ-ერთი ავტორთაგანი რომ დინამოელთა მწვრთნელი კ. ბესკოვია, ეს ეჭვს არ იწვევს. საინტერესოა, ძალზე საინტერესო, რა მითითება მიიღეს დინამოელებმა შესვენებაზე. უსათუოდ იქნებოდა ლაპარაკი ანგარიშის შენარჩუნების აუცილებლობაზე, ტემპის შენელებასა და სხვა ტაქტიკური ხასიათის ამოცანებზე. სხვაგვარად ვერ აიხსნება ალმავლობის გზაზე მყოფი გუნდის ესოდენ მკვეთრი სახეცვლილება. 65-ე წუთზე დინამოელთა მცველმა ანტონევიჩმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის უნაღდესი შესაძლებლობა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ავრუცკიმ მიიღო უკანასკნელი გაფრთხილება უხეში თამაშისთვის. ეს ორი მომენტი, ჩვენის აზრით, განგაშის სიგნალი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ არმიელები დინამოელთა წყალობით ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ ეუფლებოდნენ ინიციატივას. მწვრთნელ კ. ბესკოვს ბევრი საშუალება ჰქონდა მოახლოებული ხიფათის თავიდან ასაცილებლად. მას შეეძლო მოთამაშეთა შეცვლა, მით უმეტეს, რომ არმიელებმა ეს უფლება ორჯერ გამოიყენეს და ბრძოლაში დასვენებული რეზერვი ჩართეს. შეეძლო პასიური დაცვის ტაქტიკის უარყოფაც. საჭირო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა, ერთი მითითება, მაგრამ მწვრთნელი სდუმდა, დინამოელთა ორჭოფობა კარგად გამოიყენეს არმიელებმა და მთელი გუნდით, გაშლილი ფრონტით შეუტიეს. 71-ე წუთზე ფედოტოვმა ერთი გოლი გაქვითა. 4 წუთის შემდეგ პოლიკარპოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. დინამოელებს ბრძოლის გარდატეხის საშუალება კიდევ ჰქონდათ, მაგრამ გუნდის შოკირებული ხელმძღვანელობა „სიცოცხლის ნიშანწყალს" არ იძლეოდა. და აი, თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე პილგუიმ ერთად ერთი შეცდომა დაუშვა და ეს შეცდომა მოსკოვის „დინამოს" ოქროს მედლების დაკარგვის ფასად დაუჯდა. ცსკა-მ გაიმარჯვა — 4:3.

დიდია არმიელ ფეხბურთელთა დამსახურება, რომლებმაც უაღრესად მძიმე პირობებშიც კი არ დაკარგეს საბრძოლო სულისკვეთება და გამარჯვების რწმენა. ასევე დიდია დინამოელთა შეცდომების ფასი, რამაც წყალში ჩაყარა 210-წუთიანი ბრძოლის მთავარი მიზანი.

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო...

# დასკვნითი შეხვედრები

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 19 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 12,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. გელერი (სსრ კავშირი) — 12,5, ბ. ლარსენი (დანია) — 12, რ. ჰიუბნერი (გფრ) — 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), ე. მეკინგი (ბრაზილია), ლ. პორტიში (უნგრეთი) — 11-11 ქულა და თითო გადადებული პარტია, ვ. ულმანი (გდრ), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 11-11, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) —10,5.

ყველა მოუთმენლად ელოდა გადადებული პარტიების დამთავრებას, რასაც გარკვეულობა უნდა შეეტანა ლიდერთა განლაგებაში. შეხვედრები დილით და საღამოს ჩატარდა.

სენსაციური იყო ტ. სათლზ (კანადა) — ულმანის პარტიის დამთავრება. გერმანელ მოჭადრაკეს, მატერიალური უპირატესობა ჰქონდა. მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ულმანმა ისე აღელვებით ითამაშა, იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ პარტია წააგო.

თითქმის ოთხ საათს მოუნდა გელერი სმისლოვთან მატერიალური უპირატესობის რეალიზებას. სმისლოვი თავგამოდებით თამაშობდა, მაგრამ ვერას გახდა: გელერმა უაღრესად საჭირო ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

ორი პარტია დაამთავრა ტაიმანოვმა. მეკინგთან მას მძიმე პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მაინც შეეცადა ყაიმისთვის ბრძოლას, ჭაბუკმა ბრაზილიელმა მოჭადრაკემ ზუსტი თამაშით მალე დაარწმუნა ტაიმანოვი ამ ცდის უიმედობაში. გაიმარჯვა მეკინგმა. სათლზთან შეწყვეტილ პოზიციაში ტაიმანოვს უპირატესობა ჰქონდა და მოიგო კიდეც.

ლარსენსაც ორ პარტიაში მოუხდა თამაშის გაგრძელება — ს. რეშევსკისთან (აშშ) და მ. მატულოვიჩთან. ამერიკელმა ვეტერანმა მძაფრი წინააღმდეგობით ყაიმს მიაღწია. მ. მატულოვიჩი დამარცხდა.

მატულოვიჩმა წააგო ს. ნარანიასთანაც (ფილიპინები), სამაგიეროდ, მოუგო მეკინგს.

დილით ფიშერმა ყაიმით დაასრულა მონღოლ ტ. უიტუმენთან თანაბარ მდგომარეობაში გადადებული პარტია. საღამოს იგი XIV ტურიდან გამოტოვებული პარტიის სათამაშოდ შეხვდა დ. მინიჩს (იუგოსლავია). ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო.

ორი გამარჯვება იზეიმა ახალგაზრდა გერმანელმა ოსტატმა ჰიუბნერმა. მან მოუგო ბ. ივკოვს (იუგოსლავია) და ე. ხიმენესს (კუბა). პორტიშმა სძლია რეშევსკის.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, XIX ტურით, საზონათშორისო ტურნირში დასკვნითი ბრძოლები დაიწყო.

ლარსენმა ენერგიულად შეუტია ნარანიას და გაიმარჯვა. პოლუგაევსკი დამარცხდა რეშევსკისთან შეხვედრაში და ალბათ პრეტენდენტთა ჯგუფში მოხვედრის შანსიც დაკარგა.

ყაიმით დასრულდა შეხვედრები: პანო — გელერი, გლიგორიჩ — ივკოვი, ადისონ — მინიჩი და ულმან — ფილიპი.

გადაიდო ექვსი პარტია: სმისლოვ — ხიმენესი, ჰიუბნერ — უიტუმენი, ჰორტ — რუბინეტი, ფიშერ — ტაიმანოვი, სათლზ — მეკინგი და პორტიშ — მატულოვიჩი.

• • •

საზონათშორისო ტურნირი მიიწურა — სათამაშო დარჩა მხოლოდ ოთხი ტური. ლიდერებიდან ყველას ერთნაირი შანსი როდი აქვს სანუკვარ ექვსეულში მოხვედრისა. ჯერჯერობით აშკარაა, რომ პრეტენდენტთა შორის უთუოდ იქნებიან ფიშერი და გელერი. ორივე დიდოსტატი საუცხოო ფორმაშია და ქულებიც ხელს უწყობთ. სხვა კანდიდატებმა უნდა იბრძოლონ. დარჩენილ ოთხ ადგილზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს 8 მოჭადრაკე.

სპეციალისტები ამბობენ, ექვსეულში მოსახვედრად 14 ქულაც კმარაო. ეს ცოტა არ არის. 14,5 ქულა დიდოსტატის ნორმატივია, მისი მიღების შანსი მხოლოდ ორ ოსტატს აქვს—ჰიუბნერსა და მეკინგს.

ფინიში უკიდურესობამდე დაძაბულ პაექრობასა და საინტერესო პარტიებს გვპირდება.

მდგომარეობა 19 ტურის შემდეგ

| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლუგაევსკი | (სსრკ) | 1 | ■ | ½ | ½ | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 0 | | | ½ | 1 | ½ | 10½ | |
| გელერი | (სსრკ) | 2 | ½ | ■ | | | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | | | 1 | ½ | ½ | 1 | 12½ | |
| ივკოვი | (იუგოსლ.) | 3 | ½ | | ■ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | | | ½ | ½ | ½ | ½ | | 9 | |
| მინიჩი | (იუგოსლ.) | 4 | | | ½ | ■ | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | 1 | · | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | | | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 9 | |
| ხიმენესი | (კუბა) | 5 | | ½ | ½ | 0 | ■ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | 0 | · | | | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | | 0 | 4 | |
| უიტუმენი | (მონღოლეთი) | 6 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ■ | 1 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | · | | | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | | | 0 | 7 | |
| რუბინეტი | (არგენტინა) | 7 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 0 | ■ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | · | | | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 0 | 0 | 5 | |
| ულმანი | (გდრ) | 8 | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ■ | ½ | 0 | 0 | ½ | | | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | | | 0 | 1 | ½ | 11 | |
| ტაიმანოვი | (სსრკ) | 9 | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | ■ | 1 | · | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | | ½ | 1 | ½ | 0 | 11 | |
| სათლზი | (კანადა) | 10 | ½ | 0 | ½ | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | 0 | ■ | | | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | | | ½ | 0 | ½ | ½ | · | 8½ | |
| ფიშერი | (აშშ) | 11 | ½ | 1 | 1 | · | ½ | ½ | 1 | 1 | · | | ■ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | | | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | | 12½ | |
| ფილიპი | (ჩეხოსლ.) | 12 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | ½ | | | 0 | ■ | ½ | ½ | 0 | | | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 7 | |
| ჰორტი | (ჩეხოსლ.) | 13 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | · | | | ½ | 0 | ½ | ■ | ½ | | | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | 0 | 9 | |
| ჰიუბნერი | (გფრ) | 14 | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | · | | | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ■ | | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | | 11½ | |
| სმისლოვი | (სსრკ) | 15 | 1 | 0 | ½ | ½ | · | | | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | | | ■ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 9 | |
| ადისონი | (აშშ) | 16 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | | | 0 | 0 | ■ | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 7 | |
| გლიგორიჩი | (იუგოსლ.) | 17 | ½ | ½ | ½ | | | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | | | 1 | ½ | ½ | 0 | ■ | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 0 | ½ | 11 | |
| პანო | (არგენტინა) | 18 | 0 | ½ | | | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | | | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | ■ | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 10 | |
| რეშევსკი | (აშშ) | 19 | 1 | | | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | | | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ■ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 7½ | |
| მატულოვიჩი | (იუგოსლ.) | 20 | | | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | | | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ■ | 0 | 0 | · | 1 | 7½ | |
| ნარანია | (ფილიპინები) | 21 | | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | | | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | ■ | 0 | | 0 | 7½ | |
| ლარსენი | (დანია) | 22 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | | | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ■ | | | 12 | |
| პორტიში | (უნგრეთი) | 23 | 0 | ½ | ½ | ½ | | | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | · | | | ■ | 1 | 11 | |
| მეკინგი | (ბრაზილია) | 24 | ½ | 0 | | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | · | | ½ | 1 | | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | | 0 | ■ | 11 | |

## დასვენების შემდეგ

რიგა, 5 დეკემბერი. რიგის ოფიცერთა სახლის თეთრ დარბაზში დასვენების დღის შემდეგ სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის შეხვედრები განახლდა. შედგა VII ტური.

ლიდერებიდან დამარცხდა ლ. შტეინი (კიევი), რომელსაც მოუგო თანაქალაქელმა ი. პლატონოვმა. ვ. ტუკმაკოვმა (ოდესა) პარტია გადადო ო. დემენტიევთან (კალინინგრადი), ხოლო ვ. კორჩნოიმ — მ. ცეიტლინთან (ორივე — ლენინგრადი).

ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ავერბახი (მოსკოვი) — ვ. კარასიოვი (ლენინგრადი), ვ. ლიბერზონი (მოსკოვი) — ა. კარპოვი (ლენინგრადი), ა. გიპსლისი (რიგა) — ვ. მიკენასი (ვილნიუსი), რ. ხოლმოვი—ი. ზაიცევი (ორივე — მოსკოვი) და ვ. ანტოშინი (მოსკოვის ოლქი) — მ. პოდგაეცი (ოდესა).

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ტუკმაკოვი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გიპსლისი — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, შტეინი, პოდგაეცი — 4,5-4,5, კორჩნოი, ვ. დოროშკევიჩი (გროზნო), ვ. ბაგიროვი (ბაქო) — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია.

## ნანა ალექსანდრია — ლიდერი

ამჟამად ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) მიმდინარეობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა II პირველობა, რომელშიც სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია მონაწილეობს.

ჩვენი ჩემპიონის მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე გვატყობინებს, რომ ტურნირში გათამაშებული 4 ტურის შემდეგ ლიდერობს ნანა ალექსანდრია. მას 3,5 ქულა აქვს. პირველობაში 15 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის არიან ცნობილი საერთაშორისო ოსტატები — იუგოსლაველი მ. ლაზარევიჩი, რუმინელი ა. ნიკოლაუ, ჩეხოსლოვაკიელი კ. ერეტოვა, უნგრელი ჟ. ვერეცი და სხვები. პირველობა 22 დეკემბრამდე გასტანს.

## ჩვენ გაზეთი ტელეტაიპი გადმოსცემს...

◆ ბერლინი, 7 დეკემბერი. მოცურავე ქალთა აქ მოწყობილ შეჯიბრებაში 500 მეტრზე რბევა მოიგო რ. შლაიერმაჰერმა (გდრ) — 44,5.

◆ ინსბრუკი, 7 დეკემბერი, ოლიმპიურ სარბიელზე გამართულ მოციგურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში ე. კელერმა (გფრ) 500-მეტრიანი დისტანციის გავლას 39,9 წამი მოანდომა. ამერიკელი სპორტსმენი ქალი დ. ჰოლამი პირველი იყო 1500 მეტრზე რბენაში — 2.24,2.

## დაიწყო...

6 დეკემბერს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირმა გაზეთ „იზვესტიას" თასზე. გათამაშებაში მონაწილეობენ პოლონეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ტურნირისადმი ინტერესი დიდია. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ პრეს-ცენტრში აკრედიტებულია 300 უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტი.

მოსკოვის ტურნირი წლეულს მეოთხედ ტარდება. წინა სამივე გათამაშებაში ჯილდო სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა დაისაკუთრა. მოკლე საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ყინულის სარბიელზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდები. სამივე პერიოდში საგრძნობი იყო საბჭოთა გუნდის უპირატესობა და მატჩიც მისი გამარჯვებით დამთავრდა — 8:3. მეორე შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელმა ჰოკეისტებმა ადვილად სძლიეს პოლონელებს — 10:1.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.